Библиотека

№ 11 იანვარი 17, კვირა 1893 იანვარი 17, კვირა № 11



| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური



# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება

„სახლების აშენების ამხანაგობისა“

1146

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ მოქმედებისა წარსულ წელს,

2) არჩევანები გამგეობის წევრთა და 3) ახალი ამხანაგების არჩევანები. (5—1)

---

## წლიური საზოგადო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა კრება, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია კვირას, იანვრის 24, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1891 წ. 1 სექტემბრამდე 1892 წ. ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{92}/_{93}$ წლისათვის და გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (5—3)

---

## გაზ. „Новое Обозрѣніе“ და კახეთის რკინის გზა.

შეიძლება გვიპასუხოს ვინმემ, რომ მკვიდრთა ჯიბე გაწყალდება იმიტომ-კი არა, რომ გზას გაიყვანენ საზოგადოდ, არამედ იმიტომ, რომ ან ტარიფი იქნება მეტად ძვირი, ან უხეიროდ გააკეთებენ გზას, იაფადაო, ამაზე ხომ სიტყვაც არის გადაკრული „Нов. Обоз.“-ეს მეთაურში.

ტარიფის სიძვირე, როგორც ვიცით, გზის გამყვანის ნება-ყოფლობაზე არ არის დამოკიდებული; ამისათვის ცალკე სატარიფო კომიტეტი არსებობს და ის განაგებს ამ საქმეს. ამიერ-კავკასიის რკინის გზა ხაზინის ხელშია, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რა ძვირია ამ გზაზედ ტარიფი, თუმცა წმინდა მოგება-კი მეტის-მეტად დიდი აქვს გზას. თავად-აზნაურობის მიერ გაკეთებული გზა, თუ-კი მოიხერხა და გასტუმრა ყოველ-წლიური ხარჯი მართვა-გამგეობისა, თავნი და სარგებელი დახარჯულის ფულისა წლითი-წლობით, არა თუ სიხარბეს არ მიეცემა და მკვიდრს ტყავის გაძრობას არ დაუწყებს, როგორც ჰგონებს „Нов. Обоз.“-ეს პატივცემული რედაქცია, არამედ სრულიადაც არ ექმნება ამისი ღონის-ძიება—თვით მთავრობა არ მისცემს ამის ნებას. ძვირის ტარიფის შიში კიდევ მაშინ შეიძლება ჰქონდეს კაცს, რომ გზას აკეთებდეს რომელიმე კერძო კამპანია, რომელსაც არავითარი დარდი არ ექნებოდა მკვიდრთა მოსახლეობისა. მაგრამ, რაკი გზას თავად-აზნაურობა გაიყვანს და ისვე აწარმოებს, ეჭვი არ არის, რომ ამისთანა პატრონი უფრო მიიღებს მხედველობაში მკვიდრთა ინტერესებსა და საჭიროებასა, ვიდრე ვილაც უცხო ქვეყნიდამ მოსულნი, რომელთა მუცლის ჩხვერა მხოლოდ ის იქნება, რომ, რაც შეიძლება, მეტი ავკრათ, მეტი ავაგლიჯოთ ხალხსაო. ტარიფი ხომ გაქვავებულ-გაკლდევებული რამ არ არის; ისიც ცვალებადია, ისიც იცვლება გზის საეკონომიო ვითარების ცვლილებასთან ერთად. და აი, როცა ტარიფი ასე ცვალებადობს, მაშინ იგი აღარც სამძიმო იქნება ერისათვის. ვჰონებთ, ამ ცვალებადობას, რომ ტარიფი ხან ძვირი იყოს, ხან იაფი, ხან აიწეოდეს და ხან დაიწეოდეს, უფრო თავად-აზნაურობა შეიძლებს, ვიდრე სხვა ვინმე. ძნელი საფიქრებელია, რომ, ყველა მათ შორის, ვისაც-კი შეუძლიან იტვირთოს გაკეთება გზისა, თავ.-აზნაურობაზე მეტი მზრუნველობა და გულ-მტკივნეულობა გამოიჩინოს მკვიდრთა საჭიროებათათვის. სხვა არა იყოს-რა, თვითონაც ხომ იმ მკვიდრთა შორის ირიცხება და იმავ მკვიდრთა რიცხვს ეკუთვნის. ერთის სიტყვით, ყოველივე საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ პირიქით, თუ ვიქონიებთ სახეში მკვიდრთა „გროშებს“, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ საჭიროა გზა შეეფერ-შეეწონოს ქვეყნის ვითარებასა, უნდა ყოველის ღონის-ძიებით ვეცადოთ, იგი გზა სწორედ თავად-აზნაურობამ გააკეთოს და არა სხვა ვინმემ.

რაიცა შეეხება თვით გზის სიმტკიცესა, თვით ნამუშავარის სიკეთეს, ამას, რასაკვირველია, მცირე მნიშვნელობა არ ექმნება გზის ბედ-იღბალში, მაგრამ განა რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავად-აზნაურობა გზას ხუხულასავით ააშენებს, აჩქარებით, აშ ფათებით, რათა საჩქაროდ გამოსწოროს ძალ-ღონე და მერე გაანებოს თავი; მით უმეტეს ვერ ვიფიქრებთ ამას, რომ თავად-აზნაურობას შეუძლიან მტკიცედ გააკეთოს გზა და იაფად დაიცვას: თუ ძლიერ იაფად არა, იმაზედ იაფად მაინც, ვიდრე დაუჯდება ხაზინასა და კერძო კამპანიას. დაე, ხაზინამ, ანუ კერძო კაცებმა გააკეთონ ეგ გზა და იმათა ჰნახონ ხეირიო, ამბობს გაზეთი.

რათაო მერე? თუ გზას მოგება ექმნება, რასაც არ უარ-ჰყოფს „Нов. Обоз.“-ე, ეგ მოგება ხომ იმ თეორიით, რომელიც განგვიმარტა თვით „Нов. Обоз.“-ემ, ის გროშები იქმნება, რომელსაც ამოაცოცებენ მკვიდრთა ჯიბეებიდამ! ახლა ვიკითხოთ, რად გასწირავენ თავიანთ გროშებს მკვიდრნი უფრო მეტის სიამოვნებით ხაზინისა ან კერძო კაცთა სასარგებლოდ, ვიდრე სასარგებლოდ თავად-აზნაურობისა? თუ პატივცემულ გაზეთის თეორია მართალია, ერთნაირად მართალი უნდა იყოს, როგორც თავად-აზნაურობისათვის, ისე კერძო კაცთა და ხაზინისათვისაც. ხოლო უკეთუ ეგ თეორია მარტო თავად-აზნაურობას შეეხება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან თეორია გაზეთისა მართალი არ არის, ყალბია, თვით თავისი ბუნებითა და არსებითვე, ან არა და იგი მოგონილია მხოლოდ თავად-აზნაურობისათვის. ორივე შემთხვევაში, ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია, რა მოსაგონი იყო მაგისთანა თეორია.

იქნება „Н. О.“-ეს ჰგონია, რომ „გროშების“ ამოღება მკვიდრთა ჯიბიდამ შეეფერება კერძო კამპანიას, ხაზინას და არ-კი შეეფერება ჩვენს სახელოვანს თავად-აზნაურობას? გარნა რაც შესაფერია და მართებული სახელმწიფოსათვის, ის რად უნდა იყოს სამარცხვინო თავად-აზნაურობისათვის; თუ-კი სახელმწიფო ჰკიდებს ხელს სახეირო საეკონომიო საქმეებს, თავად-აზნაურობამ რაღად-ღა უნდა იუაროს. ეს აზრი რომ მართალი იყოს, საწყენი და შეურაცხ-მყოფელი იქნებოდა ან თავად-აზნაურობისა და ან სახელმწიფოსათვის. რაიცა შეეხება კერძოდ რკინის გზებს, კარგად ვიცით, რომ გზების კეთებას ხელსა ჰკიდებენ მრავალნი ერობანი შიდა რუსეთში და არ-კი მიაჩნიათ ეს საქმე არც სამარცხვინოდ თავიანთთვის და არც საზარალოდ მკვიდრთათვის. „Н. О.“-ეს-კი რომ ყური დაუგდოს კაცმა, გამოვა, რომ ერობათ არ უნდა მოეკიდნათ ხელი ამისთანა საქმეთათვის, აიგერა კერძო კაცნი და ხაზინა, მიჰყვნენ და იმათ იტვირთონ ეგ საქმეებიო. ასეთი რჩევა ან მეტის-მეტი გულ-უბრყვილობაა, ან არა და დიდი ჰკუის ძალ-დატანება. ამ მხრივ «Н. О.»-ე გვაგონებს იმ ძიძას, რომელსაც უნდა ყმაწვილი ძუძუს გადააჩვიოს და ძუძუს თავზე მწარე რამეს ისვამს. მაგრამ საქმე ის არ არის, ყმაწვილი ადვილად მოსტყუვდება ასეთის ხერხით, ხოლო ქვეყანას-კი ვერავინ დააჯერებს, რომ, თუ რკინის გზას აწარმოებს თავად აზნაურობა, გზა ზარალს მისცემს მკვიდრთ, ხოლო თუ ხაზინა, ან კერძო კაცნი, მაშინ ეგ ზარალი სადღაც გაჰქრება, და მხოლოდ მოგება დარჩება ძირსაო.

ცოტა რამ კიდევ გვაქვს სათქმელი, მაგრამ ეს შემდეგ იყოს.

ივერიელი

---

## ახალი ამბავი

*** 13 იანვარს ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების მიერ წარმოდგენილ იქმნა „მტარვალი“ დრამა 5 მოქმედებად ლაზარიაშვილისა, ბ. ნ. გედევანიშვილის საბენეფისოდ. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. ხალხი საკმაოდ დაესწრო. მობენეფისეს საჩუქარიც მიართვეს.

---

# ფელეტონი

## „მომილოცნია ახალი წელი“!..

(ფსიხოლოგიური ეტიუდი)

„ხვალ ახალი წელიწადია“!.. წამოიძახა მთლად ჩამომხმარმა და წელში ორად მოხრილმა დედა-ბერმა, რომელიც ჩულის ნაგლეჯზედ მიგდებული იყო სარდაფის პატარა ნესტიან ოთახის ერთ კუნჭულში და ზევიდგანაც ისეთივე ჩულის ნაგლეჯი წაეხურა...

„ახალი წელიწადია“!.. სიცივისაგან აკანკალებულის ხმით და თავის კანკურით გაიმეორა და თავისი მორღვეული თვალები გამურულ გვერდით მდგომ ლამპრის შუშას მიაპყრო, რომელიც ისე ბჟუტავდა, როგორც იმისი თვალები.

ვერც ერთი მათგანი ერთი მეორეს ვერ ეტყოდა: „არა მე შენზედ უკეთ ვანათებ, არა მეო“. ორივეს ერთ გვარად გამოჰქონდათ სინათლე და ერთმანეთის ტანჯვის ძალა-უნებური მოწმენი იყვნენ.

დედა-ბერს ტანჯვისაგან მთლად ჩანაოჭებული სახე ხან გაეშლებოდა ოდნავ და ხან უფრო ჩაენაოჭებოდა; ლამპარი-კი წრიპინებდა და უფრო ჰმურავდა შუშას...

— ღმერთო, ძილი მაინც მომგვარე!—წამოიძახა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ დედა-ბერმა და თვალები ვედრების ნიშნად ჰერს მიაპყრო.

— რა დაგიშავე ისეთი, განაგრძო მან, რომ ამ მდგომარეობამდის მიმაღწევინე?!. ერთად-ერთი ცხოვრების სახსარიც, მოძრაობა, რითაც თავს ვირჩენდი, მომისპე ამ უკანასკნელ დროს. შემეძლო სიარული და ნაგავში კონკებსა და ჩვრებს ვაგროვებდი, შემდეგ ვყიდდი და მის ნაფასურით თავს ვირჩენდი. ეხლა?! ეხლა მოძრაობაც მომისპე და დამაგდე ისე... ჰა, დასტკბი, დასტკბი ჩემის ტანჯვით!.. ამაზე მეტს რაღას მიზავ?!. წამოიღრიალა მან და ხელები მაღლა აიწოდა, მაგრამ მაშინვე ჩამოუშვა, და ერთბაშად გაკვესებულმა თვალებმა ისევ ლმობიერად ბჟუტვა დაუწყო.

— ღმერთო, მაპატივე, რომ ასე კადნიერად... არა, არა!.. პატივებას არა გთხოვ!.. დაიღრიალა მოხუცმა და უეცრივ წამოჯდა.

— უარესი ტანჯვაც რომ მომერგოს, რასაც აუცილებლივ მოველი, მაინც შენ აღარ მოგმართავ, არა!.. ამაზე კადნიერადაც რომ მოგიხსენიო, მაშინაც არა გთხოვ პატივებას! მე მუდამ შენგნით დევნილი ვიყავ: ბევრჯერ მოგმართე გულ-წრფელად, ბევრჯერ მოგაპყარ ცრემლიანი თვალები, მაგრამ შენგან ნუგეში ვერ მივიღე! ეხლა, როცა ჩემი დღენი დათვლილია, არ მინდა შენი შველა, უშენოდაც მოვკვდები...

— ოჰ, სანატრელო სიკვდილო, რაღას იგვიანებ?!. გულის სიღრმიდგან ამოსკდა ეს ნატვრა და თვალთ ცრემლები მოერია.

დიდხანს იჯდა და პირდაპირ კედელს გაშტერებით გასცქეროდა, თუმცა-კი ამ საგანს სრულებით ვერა ჰხედავდა. მის მაგივრად თვალებ წინ დაუხტოდნენ ბჭყვრიალა წერტილები, რომლებიც იმას თვალში ჩახახტომად ერთმანეთს ეცილებოდნენ.

თვალის სიღრმეში მოგროვილი ცრემლი ძლივს დარგვალდა და ქუთუთოებს წყვილად გადმოეკიდა. ცოტახანიც, და ორი მსხვილი ცრემლის მარცვალი იმის ლოყებზედ ჩამოეკიდა. თვალის კაკლები მოეწმინდა და გაუსინათდა; მოხტუნავე ბჭყვრიალა წერტილებიც უეცრივ მიიმალა, და პირდაპირმა, სინოტიისაგან ჩაშავებულმა კედელმა ლამპრის ბუნდ შუქზედ რხევა დაიწყო...

— ღმერთო! გულ-ჩაწყვეტით წამოიძახა დედა-ბერმა და თვალებზედ ხელები მიიფარა. ისე აწვებოდა თვალებს, თითქოს ჰსურდა თვალის კაკლები გაესრისნა, რომ ამით გამოწვეულ ტანჯვას სულიერი ტანჯვა გაექარვებინა, მაგრამ სულ ამაოდ. იმის სულის კვეთებას არა აკლდებოდა-რა.

— ჰმ!.. თავის ქნევით მწარედ გაიღიმა დედა-ბერმა ღრმად ჩაფიქრების შემდეგ და სასოწარკვეთილებით

*** „ქართულ დრამატიულ საზოგადოებას“ განზრახვა აქვს თებერვლის დამდეგს „ტფილისის სობრანიეში“ ბალი გაჰმართოს. შემოსავალი გადადებულია დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

*** 13 იანვარს ტფილისის მეორე გიმნაზიაში გამოსცადეს 19 ყმაწვილი კაცი, რომელთაც განზრახვა აქვთ თავის ნება-ყოფლობით სამხედრო სამსახურში შესვლისა. 19 კაცში მხოლოდ 4 იცნეს ღირსეულად: ბარანოვი, ხუციშვილი, ლორთქიფანიძე და სარქისიანი.

*** ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ანგარიშიდგანა სჩანს, რომ წარსულ 1892 წელს საზოგადოებას მოუგია 100 ათასი მანათი. ამ ფულიდგან მმართველობას შეხვდება 40 ათას მანეთზედ ცოტა მეტი, დანარჩენი ფული-კი იმ ზარალს დაჰფარავს, რომელიც საზოგადოებას მოუვიდა წარსულ წლებში.

*** ტფილისის 1 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზედ, ბუფეტ „საქართველო“-ში 14 იანვარს შევიდნენ ურიადნიკი მიხეილ კოლოტილოვი და მისი მეგობარი ნიკოლოზ ბარისოვი. ჯერ ღვინოსა სვამდნენ და შემდეგ კალატილოვი ხანჯლებით მოჰყვა ლეკურის თამაშობას და უცბად ისე შემოტრიალდა, რომ ერთი ხანჯალი ბარისოვს მოხვდა გულში. საბრალო იქვე გარდაიცვალა.

*** სომეხთა დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოებასთან დაარსებულ სამზარეულო კურსებში წელს სწავლა დაამთავრეს 14 ქალმა. მათ შორის ერთი ქართველია, ანნა ბუჭყიაშვილი.

*** შორაპანა: 13 იანვარს ქიათურის გზის სამუშაოზე დინამიტმა იფეთქა და მოჰკლა მიხეილ ფეოდოროვი, ერთი მუშაც დაიჭრა.

*** ბათუმი: 14 იანვარს რომ ფული მოიპარეს არტელის სალაროდან, ეჭვი მიიტანეს რკინის გზის მოსამსახურე მელამპრე ალექსი კასანდინოვზე და იმის ძმაზე აქციზის მოხელე აკოფ კასანდინოვზე. ორივე შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. ხეთა (ზუგდიდის მაზრა): დიდი ხანი არ არის, რაც აქ სამრევლო სკოლა გაიმართა. სკოლაში სწავლობენ ვაჟნიცა და ქალნიც, რიცხვით 55-მდე. მასწავლებელნი ორნი არიან. მშვენივრად კითხულობენ და სწერენ შეგირდები ქართულად.

*** სოფ. კაჯა (გორის მაზრა): ამას წინად აქ მობრძანდა ილუმენი ლეონიდი და დაგვარიგა, სკოლა გაიმართეთო. სკოლა თუმცა გვაქვს, მაგრამ საჭირო იყო უფრო მტკიცე საფუძველი მისცემოდა. შევადგინეთ განაჩენი და გადავსწყვიტეთ, კომლზედ მანათი გამოვიღოთ სამრევლო სკოლისათვის წელიწადში. წიგნებს თვითონ დაგვპირდა, ჩვენ გამოგიგზავნით ხოლმეო. გავიდა მას უკან რამდენიმე ხანი და მასწავლებელმა აღარ დააყენა ბავშვები, თვეში მანათი უნდა მოიტანოთო; წიგნებიც აღარ დაანება. არც ის ვიცით, სად არის სოფლის განაჩენი და დამტკიცდა თუ არა, საცა ჯერ არს.

*** ჩვენ მკითხველთ ეხსომებათ, რომ საფრანგეთის ერთმა ფულის პატრონმა ლესკანმა გამოაცხადა, კახეთის რკინის გზისთვის საჭირო ფულს ჩვენ მოგცემთო. გაზეთს «Т. Л.»-ს შეუტყვია, რომ ლესკინის გარდა კიდევ რამდენმამე უცხოელმა გამოაცხადა, კახეთის რკინის გზისათვის საჭირო ფულს მოგცემთო.

*** 15 იანვარს ნახშირის ქუჩაზე, ხუდადოვის სახლის ეზოში, უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი სარქის სარქისოვი.

*** იმავე დღეს, ფერისცვალების ქუჩაზე, დოპიევის სახლში, შაქარ პეტრუსოვს 1,500 მან. ფეხსაცმელის მასალა და ქილობები დაეწვა.

---

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება

15 იანვარი

საღამოს 8 საათზედ დაიწყო კრება, რომელსაც დაესწრო 49 წევრი, ოცამდე გარეშე კაცი და ორიოდე ქალიც. საზოგადოების მდივანმა წაიკითხა წინა კრების გადაწყვეტილება სხვა-და-სხვა საგნების შესახებ და შემდეგ კრება შეუდგა ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგებლის არჩევას. ამ საგნის შესახებ წარსულ წლის 30 დეკემბრის კრებაზედაც დიდი კამათობა გაიმართა და იმ აზრს დაადგნენ, ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგებლის ამოსარჩევად 32 მთხოვნელთაგან 4 კანდიდატი ამოირჩიოს საზოგადოების საბჭომ, საბაღოსნო სკოლის მზრუნველთან ერთად, და შემდეგისათვის კრებას წარმოუდგინოს მოხსენებაო. გუშინ-წინდელ კრებას საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა შიმანოვსკიმ გამოუცხადა, რომ საბაღოსნო სკოლის გამგებლის ამოსარჩევად შემდეგი 4 კანდიდატია დანიშნულიო: კლაუსენი, კარპოვი, მერეჟკოვსკი და არდასენოვი; შემდეგ საზოგადოების წევრთა თხოვნისამებრ თავმჯდომარემ თითოეულის დასახელებულის კანდიდატის ვინაობა წარმოადგინა, და კრებამ სთხოვა სკოლის მზრუნველს, — ამოერჩია ამ ოთხიდგან, ვის აძლევს უპირატესობას. მზრუნველმა, ბ-ნმა ყორღანოვმა, კლაუსენი დაასახელა. კრების უმრავლესობა თხოულობდა ოთხივე კანდიდატებისათვის ყუთები დაედგათ და კენჭის ყრით საზოგადოებას თითონ ამოერჩია სკოლის გამგებელი. დასდგეს ოთხი ყუთი ბ კენჭის ყრით არდასენოვს 28 თეთრი და კლაუსენს 26 თეთრი კენჭი ამოუვიდა. სამართლიანობა და კრების უმრავლესობის პატივის-ცემა მოითხოვდა, რომ ბ-ნ ყორღანოვი, მზრუნველი სკოლისა, დაჰყაბულებოდა კრების უმრავლესობის მიერ ამორჩეულ კანდიდატს, არდასენოვს, და მიეღო სკოლის უფროსად. მაგრამ იმან ისევ თავისი განაცხადა, — რომ მხოლოდ კლაუსენი მსურს საბაღოსნო სკოლის უფროსად და სხვა არა და არაო... საქმე იმაზე მიდგა, რომ გარდაეწყვიტათ, თუ ვინა სდგას უფრო მაღლა: კრება, როგორც საკვოლეგიო დაწესებულება, თუ მისმიერ ამორჩეული ერთი კაცი, ბ-ნი მზრუნველიო. ბეითალი ბოლოტოვი და ორიოდე სხვაც იმ აზრისა იყვნენ რომ სკოლის გამგებლის არჩევა მზრუნაველის ხელ-უხლებელი უფლებაა და კრება რა შუაშია აქაო. უმრავლესობის სამართლიანი ხმა დაკმაყოფილებას თხოულობდა, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ბ-ნ თავმჯდომარისა და ბ-ნ ხატისოვის აზრით, რადგან კრება და მზრუნველი ვერ შეთანხმებულან, ვერ მორიგებულან, კანონის ძალით ეს საქმე გარდასაწყვეტად სამინისტროს უნდა წარედგინოსო. ამ დროს მზრუნველი, ბ-ნი ყორღანოვი, წამოდგა და განუცხადა საზოგადოებას, რომ, თუ ჩემ კანდიდატს არ ამოირჩევთ სკოლის გამგებლად, დღეიდგან ხელი ამიღია მზრუნველობის თანამდებობაზეო. სკოლის უმზრუნველოდ დატოვება კრებამ სავნებლად მიიჩნია სკოლისათვის და სამინისტრომდე საქმის მიყვანის მაგივრად თითონ დაუთმო ბ-ნ მზრუნველს, მაგრამ დიდი და განსაკუთრებული პასუხის-გება დააკისრა. კრება ღამის 11 საათზე დაიშალა.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 10 იანვარი. დღეს მაზრის უფროსმა ბარათით მიიწვია თელავის მცხოვრებნი სათეატრო დარბაზში. ბარათში მოხსენებული იყო, რაზედაც უნდა მოელაპარაკნათ მცხოვრებელთ: 1) რა ვიღონისძიოთ, რომ ხოლერას ვებრძოლოთ, თუ, ვინიცობაა, გვესტუმრა კიდევაო; 2) ვითხოვოთ თუ არა შემოღება ახალის საქალაქო დებულებისაო; 3) „ბატონ-წყაროს“ აღკრძალვა; 4) განათება ქალაქისა; და 5) დესეტნიკების ჯამაგირი და ჩაცმა-დახურვაო. მაზრის უფროსმა თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა ყველასათვის გასაგონის ენით განმარტა თვითოეულ სარჩიელის ავი და კარგი და მერე მისცა ნება ყველას, ვისაც სურდა, თავისი აზრი ეთქვა. ბოლოს ურჩია შეკრებილთ, კიდევ კარგად მოიფიქრეთ, სხვებსაც შეატყობინეთ, რაც აქ ითქვა, და კვირისათვის კიდევ შეიკრიბენით იმავე საგნების შესახებ მოსალაპარაკებლად და გადასაწყვეტადაო.

საყურადღებო იყო სიტყვა მაზრის უფროსისა ახალ დებულების შემოღების შესახებ, საყურადღებო იყო უფრო გულ-წრფელობით და გულახდილობით. ამიტომ არ შემიძლიან არ მოვიყვანო აქ მოკლედ. „ბატონებოვო, დაიწყო მაზრის უფროსმა თქვენ კარგად იცით, რომ ქალაქ თელავის შემოსავალ-გასავალს და ყოველ საქალაქო საქმეს გახაგებს საბაზრო მმართველობა, ე. ი. პოლიცია და ორი თქვენ შორის ამორჩეული დეპუტატი. ისიც კარგად იცით, რომ ჩვენის თელავის შემოსავალს გასავალი სჭარბობს ყოველ წლივ. ქალაქს ბევრი შემოსავალის წყარო აქვს, ჯერ ხელ-უხლებელი. ბევრნაირი საჭირო საქმეცა აქვს გასაკეთებელი და არც ერთი-კი არა კეთდება. ამიტომ, როგორც შემოსავლის მოსავლელად, ისე საქალაქო საქმეების წარსამართლებად, საჭიროა შემოვიღოთ თელავში საქალაქო დებულება. საქალაქო დებულება ორნაირია: ერთი ვრცელი, რომლის შემოღებაც ბევრს ხარჯს მოითხოვს ქალაქ საგან, და მეორე — შემოკლებული. ამ შემოკლებულის დებულების შემოღება და მის გაძღოლა შეუძლიან თელავს. ნურავინ მკითხავთ, სასარგებლოა ასეთი თვით-მმართველობა თელავისათვის, თუ არა, რადგანაც ყველამ იცით, რომ პატრონი უფრო გულით და სულით მოუვლის თავის სახლ-კარსა და საქმეს, ვიდრე უცხო. ნურც იმასა მკითხავთ, რატომ ჩვენ არ გავუძღვით საქმეს კარგად, თუ კი შესაძლებელი იყო კარგად გაძღოლა. იმიტომ ვერ გავუძღვით, ბატონებო, რომ ჩვენ ცუდი მოურავები ვიყავით. საქალაქო საქმეებს გარდა, ჩვენ ათასი სხვა საქმე გვაწევს კისერზედ და საქალაქო საქმეებისათვის ვერა ვცდილობდით; ყოველის ფოსტით ერთი ხურჯინი მოწერილობანი მოგვდის და ჩვენ იმასაც ვერ ავსდივართ. ამიტომ გეუბნებით, როგორც მაზრის უფროსი-კი არა, როგორც მოქალაქე, რადგანაც მეცა მაქვს მამული ამ ქალაქში, გეუბნებით და გირჩევთ, რომ შემოვიღოთ შემოკლებულის ხასიათის ქალაქის დებულება, ამოვირჩიოთ სანდო კაცნი და მივანდოთ ჩვენი საქმე ჩვენსავე კაცებსა“.

შეკრებილნი დიდს სიამოვნებით ისმენდნენ მაზრის უფროსის ლაპარაკს. ზოგთ მიჰმართეს მაზრის უფროსს და ჰკითხეს: რომელ მოხელეებს უნდა ჰქონდეს ჯამაგირი და რომლებს არა მაგ შემოღებულ ქალაქის თვითმმართველობაშიო? რამდენის წლით უნდა ავირჩიოთ მოხელენი მაგ ახალის შემოკლებულის დებულებითაო? შეიძლება თუ არა რამე ცვლილება მოხდეს დებულება-ში ადგილობრივ ვითარების მიხედვითაო? ყოველსავე ამაზე მაზრის უფროსმა უპასუხა, რაც საჭირო იყო, და ბოლოს სთქვა: „მთავრობისაგან მაქვს მონდობილი, წარვადგინო აზრი მე კერძოდ, არის საჭირო რაიმე ცვლილება თუ არა; მაგრამ ამას ბევრი უკეთესად მოიფიქრებს და ამიტომ გთხოვთ, ამოირჩიოთ თქვენ შორის რამდენიმე კაცი, რომ ჩემთან ერთად არჩიონ, რა ცვლილებაა ჩვენის ქალაქს ვითარების მიხედვით საჭირო. ჩვენ ერთად შევადგენთ ქაღალდს და მე წარვუდგენ მთავრობას. შესაძლოა, ახალი დებულება მომავალ მკათათვის პირველისათვის იქმნას შემოღებული თელავშიო.

კრებამ დაასახელა რამდენიმე კაცი,

---

ხელები მუხლებზედ დაირტყა.

— ჩემის წარსულ ცხოვრებისთვის მარგუნე ეს დღე?! ღიმილითვე და თავის ქნევით დაიწყო მან: ჩემი წარსული ცოდვად მიგაჩნია და იმისათვის მსჯი?!. მერე მე ვარ დამნაშავე?! უმანკო, გამოუცდელ თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის უთვის-ტომო ქალს რა უნდა მომეგვარებინა?!. ყველას ენდობი, ყოველივე სიმართლედ მიგაჩნია, მაგრამ... მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ყოველივე შხამი ყოფილა და მათი მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს. ჩემი გულ-წრფელი გრძნობა, ჩემი წმინდათა-წმინდა უსინიდისოდ შემილახეს, მიწასთან გამისწორეს, ტალახით შემითხუპნეს და, ვაი, სათქმელადაც ძნელია, იქამდე მიმიყვანეს, რომ ჩემ ხორცს, ხორცს ყიდვა დავუწყე!.. დახელოვნებულ ვაჭარსავით, ვფლიბდოდი, ვთვალთმაქცობდი: ვეხვევოდი იმას, ვინც მძაგდა; ვიცინოდი, ვხარხარებდი, დავხტოდი და დავფუნდრუკებდი მაშინ, როდესაც მეტირებოდა!.. განა ის ტანჯვა არ კმაროდა, რომ ეხლა ესეც არ დაგემატებინა?!. აჰა, შემომხედე, ორმოცდა-ათის წლის დედაკაცი რასა ვგევარ?! ოთხმოც-და-ათის წლის დედაკაცივით დავუძლურებულვარ და მშიერ-მწყურვალს სული მერთმევა... ნუ თუ გგონია, ქუჩაში გავცურდები და ლუკმა-პურისთვის ხელს ვისმე გავუწვდი?! არა, არა!.. მეყოფა ამოდენა დამცირება! ხა ხა ხა!.. გავუწოდო ხელი იმათ, ვინც ამ დღემდე მიმიყვანა; გავუწოდო ხელი, რომ მოწყალება მოიღონ ჩემზედ!.. კმარა, მე იმათ ხელს არ გავუწვდი, რომელთაც მსრისეს, მტანჯეს, ვიდრემდის ჩემი სახე ჰხიბლავდა, და ეხლა-კი, როგორც უხმარი ნივთი, ამ სოროში ჩამომიძახეს!.. არა, არა!.. წამოიყვირა დედაკაცმა და უეცრივ ფეხზედ წამოვარდა.

მამაცად გაიმართა წელში, და თვალებმა საშინელი ელვარება დაუწყო.

ვინ იტყოდა, რომ ეს დაუძლურებული ადამიანიაო?

მან მაგრად დაიკრა მჯიღი გულში, რომელმაც დაიგრიალა, და სხაპა-სხუპით წამოიძახა:

— რატომ არ შემიძლიან, რომ ეხლა ყველა, ყველა გავსრისო, ჩემის დამცირებისთვის სამაგიერო მივუწყო?!. ნეტავი ეხლა მომიგდო ვინმე ხელში, რომ ჩემის კბილებით დავგლიჯო, დავფლითო და იმის ტანჯვით დავსტკბე; იმის ვაებაზედ ვიკასკასო!..

ამ დროს ზევიდგან ჩამოესმა ბრახა-ბრუხი და ხმაურობა; ცოტა ხნის შემდეგ მოესმა როიალის გრიალიც. —

— ააა!.. უცნაურის ხმით დაიღრიალა მან, და ტანი აუთრთოლდა.

— ააა!.. კიდევ დაიღრიალა, შემდეგ კბილებით თავის გამხმარ ხელს დასწვდა და ერთი ლუკმა ხორცი ამოიგლიჯა.

სისხლით შეთხუპნული სწორედ გამძვინვარებულ მხეცს ჰგვანდა.

— ახალი წელიწადი უკვე დადგა!.. ახალ წელს ეგებებიან! ერთმანეთს სიხარულით ულოცავენ!.. ჩემი მტანჯველნი მხიარულობენ!.. მეტის-მეტი სიასპიტისგან მიხრინწიანებულის ხმით ჰყვიროდა და გამალებული დარბოდა ოთახში იმ დროს, როდესაც როიალის გრიალი და ხმაურობა უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

— იმათ უნდა იმხიარულონ?!. არა, მაგ მხიარულებას ვაებად გადაგიქცევთ, თქვე მტარვალნო!.. წამოიძახა ბოლოს და ლამპარს ხელი დაავლო.

დედაკაცი გიჟივით ეზოში გავარდა და საჩქაროდ ნავთი მიასხ-მოასხა იმ კარებთან და ფანჯრებთან, საიდგანაც მხიარულების ხმაურობა მოისმოდა. სულ არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ცეცხლი გაჩაღდა და მთელი ეზო გაასინათა.

სახლში უეცრივ როიალის გრიალი და ხმაურობა შესწყდა. ყველანი გაელვარებულ ფანჯრებს მოაწყდნენ, და გულ-დახეთქილებმა ყვირილი მორთეს.

— ხა, ხა, ხა!.. მომილოცნია ახალი წელი!..

ხარხარით შესძახა ამ დროს დედაბერმა სარკმლიდგან და გაძრიელებულ ცეცხლს შეუერთდა.

 შ. არაგვისპირელი

31 დეკემბერს-92 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც დაავალა დებულების გადათვალიერება.

სხვა საგნების განხილვის დროს საზოგადოდ კრებას აღელვება ეტყობოდა. ამისი მიზეზი, როგორც აღმოჩნდა, ის თურმე იყო, რომ შარშან სახოლერო ღონისძიებათა მიღების საქმეში, ქალაქის განათებაში, დესეტნიკებისათვის ჯამაგირის ძლევაში, თელავის თავად-აზნაური და მოხელენი მონაწილეობას არ იღებდნენ და ყოველივე ხარჯი ატყდებოდა და დღესაც თავს ატყდება უმისოდაც გაჭირვებულს მცხოვრებლებსაო. მაზრის უფროსმა დაამშვიდა კრება და აუხსნა, რომ, რა საქმეც ყველას შეეხება, იმაში უეჭველად მონაწილეობას მიიღებს თავად-აზნაურობაცა და მოხელეობაცაო. თქვენ გაზეთზე არ უნდა სჩიოდეთ, რადგანაც სოფლელნი გლეხნი თქვენზე ძლიან არიან გაბეგრილები: სიღნაღის მაზრაში შეძლებული, მდიდარი გლეხი სამოც თუმნამდის იხდის ხარჯსა, თელავის მაზრაში—თორმეტს თუმნამდის, და თქვენში-კი შვიდი და ათი მანეთია მდიდარის კაცის გარდასახადიო.

ამნაირად თელავმა ერთი ბიჯი წინ წასდგა დღეს და მომავალ კვირას რამდენს მანძილს გაივლის, როგორ დააბოლოვებს ზემოხსენებულს საქმეებს,—ამას თავის დროზე გაცნობებთ.

ნადიკვრელი

## პატარა ფელეტონი

(წერილი ზესტაფონიდამ)

„დიდ არს, უფალო, სახელი შენი
და საკვირველ არიან საქმენი შენნი".

ოლონდაც! ვენაცვალე მის ძლიერებას! „დღეს სნეულსა, გულის მწველსა", გაწირულს და გადადებულს მცხედარს—„მუნ შთაებერა სული ცხოველი"...

თუ რამდენად აცხოველებს ეს „სული" განდევნილს, მიტოვებულს, გულიდამ ამორეცხილს ჩვენს... ოჰ ნეტარებავ!.. „ს—ობრანიეს", ამაზედ ბოლოს „აღვაღებ ბაგესა ჩემსა". ჯერა მსურს აღვბეჭდო კვალი „თავადთა მათ მსოფლიოთა", ღირს მოღვაწეთა კლუბის აღორძინებაში. გამეგონა „ყოველს სისაძაგლეს სათავეში უეჭველად ქალი უდგაო" და—ვაჰ მე ცოდვილსა!.. ცოტა არ იყოს, აქამომდე მჯეროდა კიდეც... დღეს-კი მე ჩემსას ვიტყვი: ქალი—მასთანავე დასაბამია «ყოველისავე» სიკეთისა, იგია „სულის სიმშვიდე, თვით სამოთხე და ნეტარება"... თუ, რასაკვირველია, ეშმაკის ბარტყობაზე ხელი აიღო... რამდენსამე „ქრისტეს ნათლულთ", გამსჭვალულთ კეთილის აზრით—მწედ ეყვნენ „გაჭირებულს", შემდეგ ღირსეულად წარმოთქმულის: „ვიჯმნი ეშმაკისაგან!", წილად ხვდათ გარინდებულთ „გამორინდება"...

ერთად-ერთი მახლობელი მიზეზი—28 ქრისტიშობისთვიდამ კლუბის განდევნისა, მის დალურსმისა, გარდა „უაღრესთა მიზეზთა"—წევრთა გულცივობა, უაზრობა დაწესებულებისა მხოლოდ „საკორონკაოდ", გარინდება და სხვ.,—ვალი გახლდათ...

სწორედ ამ ვალმა და ვახჩმა გაგვაბედინა „არ გასაბედი"... მაშასადამე, ვინც-კი „მკურნალობას" განიზრახავდა და „სნეულს" ხელს მოჰხვევდა, უეჭველად, ჯერ-ჯერობით, წინ უნდა წაემძღვარებინა „მხოლოდ ფული და ფული". ჩვენთა ქალთა, ამ მკურნალთაც მართლა და ჩინებულად მიაგნეს „გზასა ცხოვრებისასა" და... დანიშნეს საცეკვაო საღამო. თვით ენგლუნდის „მშვენთა მშვენიერებას" და კეკლუცად ტანის რხევასაც-კი გაუჭირდებოდა იმდენი ხალხის ერთად თავმოყრა, რამდენიც ამ ქალებმა 6 ამ თვეს კლუბის დარბაზში შეაგროვეს... იცოცხლეთ ჩვენ ამან „გვასიამა"...

„სიხარულის სხივი მოგვხვდა,
გულსა დაღი დაგვაჩნია".

ვისაუბრეთ, ვიხტუნეთ, ვიმხიარულეთ, ბუფეტს ღირსეულად ვეამბორეთ და, რა ვიხილეთ ნოესაგან აღტაცებით ნაკურთხი ნექტარი,—სული და გული გადავუშალეთ ერთმანეთს, ბევრი კარგი რამ „აღვუთქვით", წყლული უხვად „დავმალამოვეთ" და ბოლოს ათ თუმნამდინაც ჩავიჩხრიალეთ... მეტი სიკეთე გაგონილა!.. ვალს ცოტა კუდს შევაკვეცთ, თორე, თქვენი მტერი, „ავლადიდებისათვის" „პუბლიკაცია" უნდა დაგვექრა... ესეც დიდი ღვთის წყალობაა... „აღორძინებაზედ"-კი რა მოგახსენოთ... ცოტა არ იყოს, არა მჯერა... და... არც საჭიროა მისი აღორძინება, თუ კვლავაც, როგორც დღეს, მხოლოდ „ვინტის ბუდედ" გარდაიქმნება... რიგიანის კლუბის მნიშვნელობა, მეტადრე პროვინციაში, და გზა, რასაც უნდა ადგეს, საანბანო ჭეშმარიტებაა და ყველამაც უწყის. მიკვირს „ჩვენ მმართველთ" დღემდის რით ვერ მიუგნიათ ამ „ცხოველის" აზრისათვის... რად ავიწყდებათ, რომ თუ „წევრს" მოვალეობით ვბოჭავთ—თუმანი წარმოადგინეო—უფლებითაც უნდა აღვჭურვოთ, სამაგიეროთ თამამად მოითხოვოს. კლუბი მაშინ მიაღწევს თავის დანიშნულებას, როდესაც ყველა „შემავალი მასსა შინა" თვის შესაფერს სიამოვნებას ჰპოვებს: „ვინტიორი"—ბუბნის ტუზს, „ჰკვა-დამჯდარნი, გულ-ხმიერნი"—„ჭკუის საზრდოს, ესტეტიკურს აღფრთოვანებას", ფეხ-მკვირცხლნი—„დიფ-ტიპიტო, დაუკარი დაირას", „დუპლეტისტები"—„желтый въ середку"-ს, „ჰოი დედანი, მარად ნეტარნი"—სარბიელს ჭუჭულების სანავარდოდ და ბოლოს „ფრი!", ჭუჭულნი—„დუშკათა" ციურს ჰანგს: „რათ მინდა ოქროს წონა მე, შენს უბეს ჩამაკონა მე!", დუშკები-დუშინკათა ღირსეულს თანაგრძნობას და გმინვით ამოკვნესილს: „შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული!" და სხვ. და სხვ. და სხვ.

ყველანი-კი ერთად კლუბში უნდა ჰხედავდნენ საზოგადო ოჯახს, სადაც თვითეული მათგანი, თანაბარის უფლებით აღჭურვილი, მოვალეა არამც და არამც პრინციპს: „ერთი მრავალთათვის და მრავალი ერთისათვის" არ გადუხვიოს. კლუბს, როცა ეს სრულად არა სჭირს, არ ჰშვენის „სობრანიობა". მაშასადამე, რაც უნდა იხნირკედლავოს, სოფელს ვერ ააშენებს... დღეს „ჩვენ" მართლადაც „არა გვიჭირს-რა" და სწორედ ეს მაფიქრებს,

„რით ვიჩინოთ თავი ჩვენი,
სახელი რით მოვიხვეჭოთ?"

ქალთა მეოხებით ჩაჩხრიალებული ათიოდ თუმანი კლუბისათვის იგივეა, რაც გლახისათვის ნაწყალობი გროში... შორს მანძილს ვერ წავალთ... თუ... ოჰ, ეს „თუ!" თუ საზოგადოებაში «თანაგრძნობა» არ დამყარდა... თუ ჩვენი პაწია „მონტეკი" პაწია „კაპულეტს" არ შეურიგდა, თუ ყველამ ერთად საქმიანობას არ მიჰყო ხელი; თუ ერთის სასარგებლო მოღვაწეობას მეორემ ხელი არ შეუშალა, გზა არ დაუცერა და პირიქით მწედ ეყო... თუ... მაგრამ

..... „ეჰ, კმარა,
ფრთა შევაკვეცოთ სურვილსა,
თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა,
მამულიშვილის წყურვილსა?"

„კუნჟუტ-ბეგ".

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Н. О."-ში დაბეჭდილია წერილი სომხურ ჟურნალის „მურჩ"-ის შესახებ. ამ წერილიდგანა სჩანს, რომ ჟურნალ „მურჩ"-ის ბეჭდვა დაუწყია ბ-ნ ა. არასხანიანცს 1889 წელს. როგორც ყველა ახალ საქმეს, „მურჩ"-საც პირველში საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებდა. არც ერთს ცნობილს ლიტერატორს არა ჰსურდა ამ ჟურნალში მონაწილეობის მიღება და მხოლოდ ახალი მწერლები შრომობდნენ ამ ჟურნალისთვის სხვათა შორის, ზოგიერთი მოთხრობა და ლექსები ურიგო არ იყო. საზოგადოდ-კი ჟურნალ „მურჩ"-ში დაბეჭდილი ლექსები ვერაფრით შესანიშნავია. ზოგი ლექსი სუსტი მიბაძვაა ნადსონისა და ზოგიც ნაძალადევი, პოეზიას მოკლებული.

მაგრამ, თუ სომეხთა სალიტერატურო თხზულებანი არ იყვნენ მეტად კარგნი, სამაგიეროდ „მურჩი» ხშირად ჰბეჭდავდა ნათარგმნ თხზულებებს. სხვათა შორის დაიბეჭდა სენკევიჩის რომანი „უდომატოდ".

„მურჩ"-ის წყალობითვე, ცოტაოდნად მაინც გაიცნო სომეხთა მკითხველმა საზოგადოებამ ქართული ლიტერატურაც. ამ ჟურნალში დაბეჭდილია სომხურ ენაზედ „კაცია ადამიანი" ი. ჭავჭავაძისა და „ელისო" ა. ყაზბეგისა. ჟურნალი ეხლაც ჰპირდება მკითხველთ ქართულ ლიტერატურიდგან თარგმნების ბეჭდვას. ამ თარგმნების შესახებ ჟურნალ „მურჩ"-ის ერთს წერილში სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენ გვსურს, შეძლებისა დაგვარად, ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ სომეხთა და ქართველების თანხმობას. უმჯობესია ერთმანეთი კარგად გავიცნოთ, ვიდრე ერთმანეთს დავცინოთ და ცილი დავწამოთ ხოლმე. ამ გაცნობისათვის ყველაზედ კარგი საშუალება ლიტერატურაა, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ლიტერატურის შემწეობით სომეხთა და ქართველთა შორის დაიბადება ისეთი კავშირი, რომელიც ბოლოს მოუღებს ერთმანეთის გაკიცხვასა და ცილის წამებას".

რაც შეეხება სხვა განყოფილებებს ამ ჟურნალისას, იგივე ავტორი სწერს, რომ ეს განყოფილებანი ჟურნალისა უფრო უკეთესიაო.

აი, ასეთი გახლავთ, წერილის ავტორის სიტყვით, ჟურნალ „მურჩ"-ის მიმართულება. დასასრულ, ავტორი წერილისა ამბობს: ამ მოკლე ხანში „მურჩმა" უკვე მოიპოვა მკითხველ საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა, და სასურველია, რომ სომეხთა საზოგადოებამ ხელი მოუმართოს ამ ერთად-ერთს თავიანთ სალიტერატურო ჟურნალს.

## რუსეთი

ჟურნალ „Вѣстникъ Финансовъ"-ში ფინანსთა სამინისტროს გამგე სწერს, რომ სახელმწიფოს შემოსავალის გასაძლიერებლად იძულებულ ვიყავი, სხვათა შორის, მარილზე ბაჟის შემოღება განმეზრახაო. მაგრამ, რადგან ჯერ-ჯერობით ხაზინის შემოსავალის გასაბევრებლად სხვა ღონისძიებანიც საკმაო შეიქმნენ, მარილის ბაჟის საქმის გარჩევა შევაჩერეთ, არა იმიტომ, რომ მარილზე ბაჟის დანიშვნა სამძიმო იყოს ხალხისათვისაო; პირ-იქით, მარილის ბაჟი ერთი უადვილესი და მსუბუქი გადასახადთაგანია მცხოვრებთათვისო. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს გამგეს სურს, თუ საჭიროებამ მოითხოვა, შემოიღოს მარილის ბაჟი, რისათვისაც ბეჭდავს თავის ჟურნალში სხვა-და-სხვა ცნობებს ამ საგნის შესახებ და სთხოვს ყველა მცოდნეს და ამ საქმეში გამოცდილს, როგორნიც არიან მარილის მრეწველნი, თევზის-მოვაჭრენი და სხვანი, თავიანთი მოსაზრებანი აუწყონ გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტის დირექტორს.

— რუსეთის გუბერნიებში ერთი დაწესებულებაა, სახელად ერობა, რასაც ჩვენი მხარე მოკლებულია. ეს დაწესებულება თვით-მმართველობის ხასიათისაა და სხვათა შორის სწავლა-განათლებისა, თუ სამეურნეო სამკურნალო საქმეს მთელს გუბერნიებში თვითონ განაგებს. ერობას თავისი გამგეობა ჰყავს, თავისი სკოლები, თავისი ექიმები. „ერობის" შემოღების შემდეგ ძლიერ წინ წაიწია წერა-კითხვისა და სამკურნალო საქმე რუსეთში, რასაკვირველია, შედარებით იმ გუბერნიებთან, საცა ერობა ჯერ არაა შემოღებული. მაგრამ „ერობას" რუსეთში იმ თავიდამ ბევრი მტერი აღმოუჩნდა და ამ ბოლოს დროს ხომ ერთი-ათად იმატა ასეთმა მტერთა რიცხვმა. ასეთის „სიბნელის მოყვარეთა" მეთაურობა იკისრა ამ ბოლო დროს თავად მეშჩერსკიმ!. მაგრამ, მგონია, ფონს ვერ გავა, რადგან ფხიზლის და გამჭრიახი გონების კაცთა რიცხვიც ბევრია აწინდელ რუსეთში. გაზეთებიც საკმაოა ერობის დასაცველად... ამ გაზეთების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, С.-Петерб. Вѣдомости და Русскія Вѣдомости...

— გამოცხადებულია, ვინ იქნება დანიშნული ამ წლის პირველ ნახევარში სახელმწიფოს საბჭოს სხვა-და-სხვა დეპარტამენტის წევრებად. კანონმდებლობის დეპარტამენტში იქნებიან: თავმჯდომარედ—სტატს-სეკრეტარი, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ოსტროვსკი, წევრებად: სტატს-სეკრეტრები—პეტერცი და ფიში, გენერალ-ადიუტანტი და გენერალ-ინფანტერიისა, მისი უგანათლებულესობა თავადი იმერეთისა, გენერალ-ლეიტენანტი თ. გოლიცინი, გოფმეისტერი აბაზა, ტაინი-სოვეტნიკი ბარონ მენგდენი, ტაინი-სოვეტნიკი ტატიშჩევი; სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა დეპარტამენტში იქნებიან: თავმჯდომარედ სტოიანოვსკი, წევრებად: ფილოსოფოვი, სალომონი, როოპი, მანსუროვი; სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტში იქნებიან: თავმჯდომარედ—სოლსკი, წევრებად: კახანოვი 1, მარკუსი, ნიკოლაევი, გენერალ-ადიუტანტი როზენბახი, ტაინი-სოვეტნიკი პეშჩუროვი, ტაინი-სოვეტნიკი ანასტასიევი.

## წვრილი ამბავი

უცნაური სახსოვარი.

პარიჟის გამოჩენილს ვარსკვლავთ-მრიცხველს, კამილ ფლამარიონს, ერთი მხარბეჭიანი ქალი მოსწონდა თურმე. ამ ცოტა ხანში ეს ქალი გარდაიცვალა და თავის მოტრფიალეს უანდერძა... ზურგის კანი! ფლამარიონმა არც აცივა, არც აცხელა, და ეს ქალის კანი თავის უკანასკნელად გამოსულ წიგნს ყდად გადააკვრევინა.

— ჩიკაგოს გამოფენისა სხვათა შორის ისიც ძრიელ მოსაწონია, რომ გაგრძელდება ორს წელიწადს. ეს იმ მოსაზრებით მოასდინეს ამერიკელებმა, რომ დაშორებულ ქვეყნებიდგან მსურველთ ტაატით მაინც მიაღწიონ ამერიკის გამოფენას.

—ბერლინის ერთს გაზეთის რედაქციაში მივიდა თურმე ერთი კაცი, ვითომ მებადე, და დაწვრილებითი ცნობა მიიტანა ახლად მომხდარ ქურდობის შესახებ. ეს ცნობა მართალი გამოდგა. რამდენისამე კვირის შემდეგ იგივე, ვითომ მებადე მიბრძანდა რედაქციაში და ახალი ქურდობის ამბავი მიიტანა... ეს ცნობა გამოძიებამ დაასაბუთა... პოლიციამ რასაკვირველია, ეჭვის თვალით შეხედა ამ გარემოებას და თვალ ყური ადევნებდა მესამე ამბავის რეპორტიორს... და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ის მებადე-კი არა თვითონ ყოფილა ქურდიცა და რეპორტიორიცა.

— ერთ ინგლისელს მოუგონია, თუ როგორ შეიძლება მუქთად ისადილოს. შებრძანდება თურმე სასტუმროში, მოითხოვს, რაცა ჰნებავს, და, ლაზათიანად რო გამოძღება, სასტუმროს პატრონს გამოუცხადებს: უკაცრავად, ფულები არ მახლავსო. სასტუმროს პატრონი, რასაკვირველია, პახლუჩ-პახჩურით [illegible], მაგრამ რა უშავს... ხომ გამოძღა?, მეორე დღეს მეორე რესტორანში შევა... იქაც ისე მოიქცევა... და ესე მოგზაურობს თურმე რიგრიგად ყველა რესტორანებში... ეხუმრებით?!. ლონდონში რამდენიმე ათასი სასტუმროა, და წელიწადში რომ თითოჯერ ისადილოს ყველგან, ვინ რას მიუხვდება. მეორე წლისთვის გადაავიწყდებათ კიდეც და ხელ-ახლად თავიდგან მოჰყვება.

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ჩვენ მიერ ხელის მოწერით შეკრებილს ოც-და-სამ მანეთს და უმორჩილესად გთხოვთ, ამ ფულადგან 17 მან. გარდასცეთ ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს, ქართველ მაჰმადიანთ შორის მუქთად დასარიგებელ და გასავრცელებელ მათთვის სასარგებლო ქართულ წიგნების გამოსაცემად. დანარჩენი 6 მან. გთხოვთ გარდასცეთ ბ-ნ თ. ჟორდანიას, მისის ისტორიულ ქრონიკების დასაბეჭდად. შემდეგ დაბეჭდვისა ვსთხოვთ ბ-ნ ჟორდანიას, ერთი ეგზემპლიარი ზემოხსენებულის ქრონიკებისა გაუგზავნოს ტომსკის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, სადაც მეორე—ჩვენ გამოგვი

...ბულში აქაურ ქართველ-ი... დ. ამასთან გიხლით ფულის შემ... ქალთა სიაც დავბეჭდოთ:

თავად მიხეილ ხიდირბეგიშვილი 3 მან., დონ გაბრიელ ასლანოვი 3 მან., ვასილი მასხულია 3 მან., ივანე აფრიდონიძე 2 მან., ალექსანდრე კოსტავა 2 მან., ბესარიონ კაკაბაძე 1 მან., დიმიტრი ბუკია 1 მან. 20 კაპ., მელიტონ ჩხეიძე 1 მან., ივანე ჯანატაშოვი 1 მან., კატა კოპლატაძე 1 მან., ი. ხეთერელი 1 მან., სიმონ ქაჯაია 1 მან., მამულიანცი 30 კ., მელიქ ოსიპოვი 30 კ., ალექსანდრე ასლანოვი 1 მან., დავით პეტრუსოვი 1 მან.. თევდორე ლალაძე—50 კაპ. სულ 23 მან. 30 კაპ.

30 კაპ. გამოსაგზავნად დაიხარჯა, ხოლო 23 მან. ამასთან გიგზავნით.

ვასილ მასხულია

1893 წ. 8 იანვარი.

ს. ტყიბული.

# დეპეშა

15 იანვარი

**პეტერბურგი.** „Бирж. Вѣд.“-ს შეუტყვია, რომ მინისტრთა კომიტეტის და ეკონომიის დეპარტამენტის შეერთებულმა საკრებულომ გადასწყვიტა, ნებას არ დავრთავთ რელსებისა და რკინის გზებისთვის მასალის საზღვარ გარეთიდგან უბაჟოდ შემოტანისასაო.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ განზრახვა აქვთ, ქალაქის უძრავ მამულებზედ გარდასახადს მოემატონ 1 მილიონი მანათიო.

**პარიჟი.** პალატამ დაამტკიცა მოხსენება საიდუმლო ფონდების დაარსების შესახებ. რიბომ სთქვა, საჭირო საიდუმლო ფონდები დაარსდეს, ან არა და კაბინეტი უნდა გადადგესო. საიდუმლო ფონდები საჭიროაო, ამტკიცებდა რიბო, რადგანაც რესპუბლიკის წინაამდეგ მუდმივი მუქარა და წინააღმდეგობა ასტყდა. ფლურანსა სთქვა, რომ იმ ცილის წამებამ, რომელიც დაატეხეს საფრანგეთის მეგობარ სახელმწიფოს ელჩს, ძლიერ დიდი შთაბეჭდილება იქონია მთელს საფრანგეთზე; ამ ცილის წამების მიზანი აშკარაა: განზრახვა აქვთ, შეარყიონ საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრული კავშირი; პალატასა და მთავრობას უფლება არა აქვს ეს განზრახვა უყურადღებოდ დასტოვოს. რიბომ სთქვა: „ჩვენ იმ წამსვე ყველა საშუალებანი ვიხმარეთ იმ ელჩის დასაცველად და ყველა სახელმწიფოთა ელჩებს დავიცავთ“.

მინისტრმა ბურჟუამ კასანიაკს სეკუნდატები გაუგზავნა იმ მიზეზისა გამო, რომ გაზეთმა „Autorite“-მ ბურჟუას ბრალად დასდო, იმ კაცის ამხანაგად იყავი, რომელსაც პანამის საქმეში დანაშაული ჰბრალდებაო.

15 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია: იმ ებრაელთ, რომელთაც შეუძლიანთ იცხოვრონ იმ ქვეყნის გარეშეც, საცა ებრაელობას ნება აქვს დართული ცხოვრებისა, აგრეთვე უცხოელთ და უცხოელთა საზოგადოებათა, თუნდ ნებაცა ჰქონდეთ რუსეთში მოქმედებისა და რუსეთის სააქციო საზოგადოებათა, რომელთაც აქვთ უსახელდებულო აქციები, ნება ეძლევათ შეიძინონ სასარგებლოდ ან საკუთრებად, თვინიერ იმ შემთხვევათა, როცა კანონით იმკვიდრებენ, ნავთოსანი მიწები, მოსძებნონ ნავთის წყარონი და აიღონ იჯარით ნავთის წარმოება კავკასიაში მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველთვის ცალკე ნება-რთვა უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო ქონებათა მინისტრისა გუბერნიებში: ტფილისისაში, ქუთაისისაში, ბაქოსაში, განჯისაში, თერგისა და ყუბანის ოლქის სახელმწიფო და კერძო მამულებში, გარდა იმ მამულთა, რომელნიც ეკუთვნის თერგისა და ყუბანის ჯარებს.

**ბერლინი.** მემკვიდრე ცესარევიჩმა მიიღო გუშინ იმპერიის კანცლერი კაპრივი.

**პარიჟი.** ჟულ როში, ტევენე და არენი განთავისუფლებულ იქმნებიან განსამართლებისაგან; პარლამენტის ყველა იმ დანარჩენთა წევრთა საქმეკი, რომელიც სამართალში არიან მიცემულნი, გადაეცემა საბრალმდებლო პალატას.

**ბერლინი.** გუშინ კადრილის დასასრული გარდაიქცა მემკვიდრე ცესარევიჩის პატივისცემად. პოლკის მუსიკამ დაუკრა საერო საგალობელი; ყველა დამსწრენი ფეხზე წამოდგნენ; აფიცრები გამოიჭიმნენ და სახედრო სალამი მისცეს; სამოქალაქო ტანისამოსით მყოფთ შლაპები მოიხადეს; იმპერატორმა და მემკვიდრე ცესარევიჩმა ხელი შუბლთან მიიტანეს და ასე იდგნენ, ვიდრე საგალობელი არ გათავდა.

გუშინ საღამოს მემკვიდრე ცესარევიჩი დაესწრო წარმოდგენას საოპერო თეატრში.

„Nordeutsche Algemeine Zeitung“-ი იუწყება, რომ მემკვიდრე ცესარევიჩმა ხვალ დილამდე გადასდო თავისი წასვლაო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ „Dayly Chronicl“-ი განგებ ავრცელებს ტყუილს ხმას, ვითომ ბერლინის წარჩინებულთა შორის ელიან საგაზაფხულოდ რუსეთის თავ-დასხმასაო. იმ წარჩინებულთა შორის არავითარი შიში არ არსებობს ახლო მომავალის შესახებ.

16 იანვარი

**პეტერბურგი.** იმის გამო, რომ გერმანიის იმპერატორმა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა, გაზეთი „Jouroal de Sf-Pétersburg“-ი ამბობს: უავგუსტოესმა მონარქმა მჭევრმეტყველი სიტყვა უძღვნა სამეგობრო ტრადიციას, რომელსაც აკავშირებს იმპერატორთა საგვარეულოს. ეს კავშირი ხელახლად კიდევ იმით დამტკიცდა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი ყველა მშვიდობიანობის მოყვარულთ გულითადის თანაგრძნობით მიიღეს. ეს დიდად სასიამოვნო ამბად ჩაითვლება.

გუშინ, გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს პრუსიის ელჩი და პრუსიის სამხედრო წარმომადგენელი მიწვეულნი იყვნენ სასახლეში საუზმეზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 15 იანვარი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,83 | 7,86 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 156½ | 157½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 226 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¾ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

**მიხეილის ბაღი**

(Михайловскій садъ)

მისკილის ქუჩა, რკინის გზის მმართველობის პირდაპირ.

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ჩემს ხელში გადმოვიდა ბუფეტი მიხეილის ბაღისა. ბუფეტი მშვენივრად არის მოწყობილი. სასმელები ყოველ გვარი გვაქვს. საუკეთესო მზარეული ამზადებს

**აზიურსა და ევროპიულს საჭმელებს**

მუდამ ახალ-ახალ სანოვაგისას. ღვინო კარგის ღირსებისა გვაქვს, ბოთლი 25 კაპ. დაწყებული. შეიძლება დაკვეთა დასახლში წაღება ორის თავის საჭმლისა თვეში 12 მანეთად.

ფასი ყველაფრისა ზომიერია

თავმდები ვარ, რომ მოსამსახურენი ზრდილობიანად მოექცევიან ყველას.

ლავრენტი თოხაძე

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—3)

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენციისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—21)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—33)

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ უ რ ბ ე ნ ი “ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოებამ „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს გადასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(49—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.